ფასი ყველგან 10 კ.

№ 5

კვირა, 19 ოქტომბერი, 1908 წ.



მიჯაჭვული „ამირანი“.

ქართველ „ზუბრთა“ ბანკზე ვნახე
„ამირანი“ მიჯაჭვული,
ხელში მახვილ მონადერი,
თავს მუზარად ჩამოცმული.

ჩვენს ეროვნულ ქანქართიწყაროს
ჩასდგომოდა დარაჯ-მცველად...
თან, სხვა თფილი ბუდეებიც
ჰქონდა სანატრ-სანუკველად.

ახლოს არვის იკარებდა
იდგა მარტო, ერთად-ერთი;
ბანკი იყო აზრთა მისთა
მომტაცი და შემაერთი.

ტკბილ ცხოვრებას შეჩვეული
სდარაჯობდა გულით წრფელით,
თვით მამონას სამსხვერპლოზე
მრავალ-გზობის დანაწველით.

მედგრათ იცავს ,,პოზიციას'',
თუმც არ ძალუძს სხვაგან რბენა
და საქანქრეთს გარეშედაც
ვაჟკაცობის გამოჩენა.

თან დამღერის ბრძოლის ხმაზე
სულ ერთნაირ ,,ამაყ'' კილოს,
აზრით მცირე ხარისხოვანს,
მხოლოდ ჩვენში გასამხილოს.

— ,,ივერიის ტურფა მხარევ,
საქართველოს მიწა-წყალო,
მინდა თავი შენს დიდებას
შევსწირო და ვანაცვალო.

შენს სანატრელ მინდორ-ველებს
და ბუმბერაზ მთა მწვერვალებს
მისი ქვრეტით მოხიბლული
ვერ ვაშორებ ბეჩავ თვალებს.

სმენას მიტკბობს წყალთა შენთა
მალი სრბოლა, სანეტარო
გულს მიგრილებს კლდისა ძირად
მოჩუხჩუხე ცივი წყარო.

სხვას შენ არვის ეყვარები,
ჩემზე უფრო, ჩემზე მეტად
შენ ხარ ჩემი იდეალი,
შენ გისახავ მხოლოდ ღმერთად“.

—

გამეცინა, რა ვისმინე
მე ეს გრძნობა ანაქლერი,
და მიტომაც მოგახსენეთ
რაც სთქვა თითქმის ყველაფერი.

დამაეჭვა სწორე გითხრათ,
ვსთქვი: ნუთუ მე ვერ ვიცანი,
რაინდი ბანკს მინაჯაქვი
არ იქნება ,,ამირანი''.
მიველ, კარგათ ჩავუკვირდი
როგორც სიტყვას, ისე საქმეს
სიტყვით ეგზომ მოლაღადე,
ვსთქვი საქმეველს ვისთან აქმევს?
სულ მცირედმა დაკვირვებამ
დამარწმუნა უცებ ნათლად
და დონ კიხოტ ლამანჩელი
ვპოვე ,,ამირანის'' ნაცვლად.

ეშმაკი.

ცოცხალი ანეგდოტი.

ერთი პატრიარქალურათ აღზრდილი და ღრმათ მოხუცებული მეგრელი სამართალში მისცეს პოლიტიკური დანაშაულისათვის. როგორც მიღებულია, სამოსამართლო უწყებამ ჩააბარა ბრალდებულს საბრალმდებლო ოქმი და რამოდენიმე ხნის შემდეგ ხელწერილი ჩამოართვა, რომლითაც ავალებდა მას სამი დღის ვადაში დაესახელებია ვის ნიშნავდა თავისს დამცველათ საქმის გარჩევის დროს. დამცველის აყვანა არ მოეწონა მოხუც სოფლელს და ასეთი განცხადება შეიტანა სადაც ჯერ იყო:

„სამოსამართლო პალატის პოლიტიკურ განყოფილებას.

ზუგდიდის რევოლიუციაში მონაწილეობისათვის ბრალდებულის სამეგრელოს მემამულისა, ტყის მწარმოებელისა, მეჯოგისა, მეურნისა, მებაღისა, მევენახისა და სხვათა მრავალთა ხელობათა წარმომადგენელის ს. ნაგულაძის

განცხადება.

ამა წლის აგვისტოს 30-სა დღესა, მე ქვემორე ამისა ხელის მომწერმან მივიღე თქვენგან ოქმი ბრალდებისა ჩემისა. თვინიერ ამისა, სექტემბრის 12 დღესა ჩამომერთვა საბუთი ხელწერილობითი, რომელიცა მავალებს ვიყოლიო დამცველი ჟამსა საქმის გარჩევისასა.

შესახებ ამისა მაქვს პატივი მოგახსენოთ მოსახსენებელი შემდეგი: მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლე დავძრწოდი და დავძვრწი ტყეთა და ღრეთა შინა, მთათა და მინდვრათა, გავატარებ რა დროს მხეცთა და ყაჩაღთა შორის. უკვე „ორმოცდა-ათმა წელმა გამლიუნა, და გისერში მაგრათ ჩამიკაკუნა“, მაგრამ არსად და არასოდეს არავითარ საფრთხეთა შინა მე დამცველი არა მყოლია, და განსაცდელშიაც თავი აროდეს მიგრძვნია.

და ნუ თუ, მოწყალენო ხელმწიფენო! სამოსამართლოს დარბაზში, სადა განსჯიან მაღალ-განათლებულნი და გონიერნი მართლ-მსაჯულნი, საჭირო იქნება ჩემთვის ყოლა დამცველისა? არა, და არა, მე არ ძალმიძს ყოლა დამცველებისა და მით შეურაცხყოფა ჭაღარისა ჩემისა ტყეთა და ღრეთა შინა მრავალ ნაცადისა. არა და არა, მე მივდივარ მარტოდ-მარტო, ერთად-ერთი მამაცი და შეუპოვარი უმჯობეს არს დავიღუპო, ვიდრე განვივლო შიში გულსა, ვიდრე შევიგინო ჭაღარა ჩემი.

ს. ნაგულაძე.

ეშმაკი ძლიერ ასიამოვნა ამ ჭეშმარიტ-ქართულმა სიბრძნემა და განიველო ზრახვად ენახა ბრძნული სახე ჭაღარა მეგრელისა და დამტკბარიყო

გულს ეამება, რომ ნახავს
ძველ ქართველს, ფაფარ-ჭალარას,
რადგან სანახავს უკეთესს
აღარ მოელის აღარას.

ამიტომაც უცებ შეძვრა დახურულ კარებში და მიაყურადა: ჭალარა მეგრელი, „ნადირთა და ყაჩაღთა საზოგადოებაში აღზრდილი“ კუთხეში იჯდა, ხოლო მის საქმეს ვექილი მექი ფაღავა იცავდა.

შერცხვა ეს ნახვა ეშმაკსა
და გვითხრა მცირე ზღაპარი,
სად გვიმტკიცებდა: „ვინც ყვირის
მხდალიაო და ლაჩარი“.
თუ ეს სიმართლე არ იყოს,
მოდი, კისერი წამჭარი.

მაყურებელი.

მოგონება თფილისიდან.

ეშმაკთა მეუფეო! მივიღე რა ბრძანება თფილის ქალაქად გადმობარგებისა, უსწრაფეს ელვისა დავსტოვე ზღუდენი გურიისანი და დავემყარე რა ახალსა სამფლობელოსა შინა, მოვავლენ წინაშე შენსა ამა მოგონებასა.

მეუფეო მიწათაო და ეშმაკო სრულიად საქართველოისავ! მრავალ არიან სამათრახონი ქალაქსა ამას შინა, მაგრამ უცდელსა მათრახსა ჩემსა არ ძალუძს აღნუსხვად ყოველისა, სუსტითა წვერითა თვისითა, ხოლო რაოდენიცა აღინუსხა, მოვავლენ წინაშე თქვენსა, რათა აღემართოთ სიბრძნითა და ისმინოთ ესე მოგონება.

ზინგერის კომპანია: ძლიერებასა ზინგერის მაშინისასა ვერა გაუძლებს ძალა ვერარა, რისათვისაც ძლეულ და „შეკერილ“ იქმნენ გაფიცულნი მუშანი ამა კომპანიისანი. იგრძნეს რა მუშებმან ბოლო ესე მოსალოდნელი, განიზრახეს, თანახმად კეთილ თქმულებისა, „ჩათრევისათვის ჩაყოლის მჯობინება“, ხოლო გამოუცდელნი საქმესა ამასა შინა, ნაცვლად ჩაყოლისა ფრიადაც ჩაწვენ ერთ-ურთისა კონკურენციისა და შუღლისა მორევში. ცრემლი პილატეს არს გასართობი მათი და თაყვანისცემა ბახუსისა მრავალ-პატიოსანისა. მივხედე რა ყოფასა ამას მოვითხოვ მათთვის საჩუქარსა მათრახის კუდითა,

რამეთუ კუდი ცხოველი
მათ დაანახვებს ძალასა,
და ღვინოზედაც უფროორე
შეუთბობს თავის ქალასა.

* * *

ხოლო თუ ზინგერის მუშათა შორის ესე ვითარი შუღლი აღმოცენებულა, რაღა დააშავეს „მელანის“ ქარხნის მუშათა? თვინიერ ხაზეინის ძალდატანებისა, მათ მოახერხეს სამუშაოისა ზედმეტისა დაწესება და ამხანაგისგან პროტესტისა მცირედისა გამო აღიღეს მუშტნი თვისნი და განუქეყეს ქალა თავისა მუშაობისა ზედ-მეტისა დამგმობსა.

ან კი ვინ სჯიდა ამ დროში
სიმართლის ღალადებასა?
მათრახი გამოვუწერე
თუ მომცემ ამის ნებასა.

* * *

მუშათა მუშათადმი საქციელი ესე რა ისმინა ინსპექტორმა ამხანაგობისა „არგოსამან“ უმაღლეს აღფრთოვანდა და წაბაძულობითა ღირს საქებარითა საკუთარითა ხელითა თვისითა შემუსრა მუშაკი დიაკი ქარხანისა თვისისა სუსტი და უმწეო. მხევალი ესე უფლისა მოიქცა ჩემდამო, რათა ვითხოვო წინაშე ეშმაკისა დიდისა

მიეცეს ჯილდოთ ინსპექტორს
მათრახი მკვიდრით ნაწნავი,
საკუთარ ზურგზე მუდამ-დღე
სამ გზობის გადასაკრავი.

მოციქულ-ეშმაკი.

მესტვირული.

1.

(ბათუმისთვის)

ჩემი სტვირი, ჩემი გუდა,
ეს ჭამანჩა დიდებული,
რა ხანია არ დამიკრავს,
მქონდა, ისე, მიგდებული.
დღეს ავიღე და მოვმართე
გუდა, გადმოკიდებული,
ძველებურათ გიახელი,
სტვირზე ხელმოკიდებული.
არ დავჩუტავ, დიდხანს მქონდეს
გუდა პირზე მიდებული!
და გთხოვთ,—ყური მომაპყარით,
ერთი, გულდამშვიდებული;
მსურს ლექსები მოგახსენოთ
საამდროვო, მირგებული.

რა გამეფდა რეაქცია
და ჩასვენდა მზე ბრწყინვალე,
სიმართლის წილ ძალა არის
მომრიგე და მოსაშვალე;
გაგვიხშირდა ტურა მელა,
ცბიერი და მოთვალთვალე;
თუ სადმე სთქვი პირდაპირი,
სიტყვა მრუდეთ არ შესცვალე,
რეთი მოგხვდეს მუჯლუგუნი,
მობრეგვილმა, მერე თვალე.
დღეს მოდაში შემოვიდა:
სულ რომ მოკვდე, ისაშვალე,
შედი საღმე სამსახურში,
ბატონს თავი მიანდალე,
ჩოქვითა და მეტანიით,
ადი მაღლა, აიცვალე,
შეძვერი და გამოძვერი,
რაც დღეს გითქვამს, ხვალ შესცვალე.
გზა მოსძებნე განდიდების,
გაიტანჯე და ეწვალე,
სალექტორო კათედრაზე
წამოსკუპდი, გენაცვალე,
იბჟუტურე, იკიმანე,
იფშუტე და იხვანხვალე
და ლექტორი დაგერქმევა,
თუ გადგია ცხვირს სათვალე.
ესე თქვენი „ნაშოღვაწი“
გამოჩნდება დღეს, თუ ხვალე,
თუ არა და—მე ეს ყური
კაკალ ძირში მიმათალე.
ჯერე კიდევ მოგახსენებ,
რამდენი გვყავს მეტიჩარა:
ერთია და, რომ შეგხვდება,
მოგატყუებს ხელათ, ჩქარა.
ერთიც „იბრძვის“, ზემოურათ,
კრიმანჯულობს ეს თავქარა,
ჰპოვა თვისი შესაფერი,
ეძმაბიჭე, გაიხარა,
აწ ვიცანით ეს ბატონი,
რაც გვატყუა ისიც კმარა.
ძმა ბიჭი ყავს ერთიც „გარეთ“,
ის ასწავლის ჩუმათ, წყნარა;
არც ამისი გვჯერა რამე
რჯულის მადლმა არა, არა!.
მათ, მესამე მოკავშირის,
ორთავ ჭირი, შეეყარა.
ერთიც ვიცი, მიშპი-მოშპის
უხედნელი, ვით მოზვერი,
სადაც არა შეუძლია,
იქ დამჯდარა ეგ ოხერი,
უთავბოლოდ ფართი ფურთობს
საბაწრეა აგი შტერი,
მუნჯი ორატორი არის,
მუქთა ხორა ეგ „ლიდერი“,
ფშუტავს, როგორც შერეკილი,
ძველი პოლკის კამანდერი,
სიტყვით უხვი, საქმით უქმი
და „უმწიკვლო“, როგორც ბერი.
მათრახია რბილ ნაწილზე,
ერთი მაგის შესაფერი.
მინდა ერთი ამ კრებულში
გავურიო მე ნიმუშათ,
საქანქრეთში რომ დაბრძანდა
გასაბერად გასაფუშათ,
ამის მერმე გაგვიდინჯდა
იცქირება, მკვახეთ, მქუშათ,
ქალებისთვის გამოდგება
სატრფიალო ბაიყუშათ
საქმისთვის კი... გეფიცვბით
არ ივარგებს იგი მუშათ...

ამის შემდეგ ვისაც უნდა
დეე მყავდეს გაბღვერილი,

ამ ჩემ გუდას არ დავჩუტავ
მაქვს და მქონდეს გაბერილი,
მთელ სიცოცხლეს მიორკეცებს
ლექსი სტვირზე დამღერილი,
ამისთვის მაქვს მე ეს სტვრი
ასე მოგრძოთ გაღერილი...

ბლიკგაძე.

2.

დღე და ღამე ქაჰან-წყვეტით
მივალაგე ქირნახული,
და გავფერე ძველი სტვირი,
რომ ჩავბერო გუდას სული.
მოვემზადე საშაიროთ,
ვიწყე სოფლად სიარული,
გლეხებს კარზე დაუარე
გულმა იგრძნო სიხარული!
მუშებს შუბლი გაუხსნია:
ბლომათ არის ქირნახული...
(მარა ცოტა, ზოგ სოფელზე
კი უტკივა ყველას გული,
ზრუგში მალვით მოუდვიათ
ძველებური სარწყაული,
ამბობს: დრომა მოიტანა,
მარა იყოს დიმალული)
ოზურგეთში ჩავიარე,
არ ვყოფილვარ, გადის წელი:
არსებითად, დამწვარ ქალაქს
არ შესცვლია არაფელი.
ვნახე ვასილ სოფრომიჩი
უწინდელი ძალა-თავი,
დღეს გაშავებ-გაგდებული
მაგარ პანღურ მონაკრავი.
სახეს ღიმი არ უნათებს
ალარც აძევს კაცის ფერი,
იფიქრებ, რომ სამსახურში
სარგებლობა ჰქონდა ბევრი.
გადავხედე ვანო ჯაყელს,
შემეცოდვა თუ მწამს ღმერთი,
გაუგდიათ და არ ძალუძს
გამოსწუროს ტუსაღს ზეთი.
დიდი ნიკოკ პოსრედნიკი,
ველარ ჩნდება ქუჩის პირად
განურჩევლად მტერს, მოყვარეს
ჩასობია თვალში ჩხირად.
გურიიდან გაძევებულს
ილარც სხვაგან ელის ლხენა..
ვსთქვი თუ კაცი უმეცარი
რამან შექმნა ამოდენა.
დიტო გმირიც მოვიკითხე
ელიმოდა სახე ყველას
თურმე ცხელი პანჩურები
ამოუსვეს კუდა-მელასა,
სამსახურით გამორიცხეს,
ქვეყნისგანც გარისხულიო,
და ამ გვარად იმის თარეშს
სჩანს მიეცა დასასრული.
კოწია კი არსად მოსჩანს
გაპარულა ის საწყალი,
მამა დავით დეკანოზსაც
შესდგომია ვგონებ წყალი.
შევკრიბე ყველა და ვკითხე:
რათ გაამწარეთ გურია
ვის შერჩენია, თქვენ შეგრჩეთ
ამგვარი სამსახურია?
მათ ნაწოლ, ნაჯდომ, ნაბარგალს
კუდინი მოვაშხურეთ,
ავკარი გუდა ნაბადი
შინისკენ გავეშურეთ...
და თუ დაგვიდგა მშვიდობა
კვლავ დავადგები გზაზედა
რომ დასავლეთელ ყვავ-ყორნებს
მივულილინო კარზედა.

შხანკოლა.

ს ა ტ რ ფ ო ს.

რისთვის გამშორდი ლამაზო,
შორით რას შემომცქერიხარ?
ქირიმე შენი გულისა,
სატრფო, თუ ჩემი მტერი ხარ?!
ნუ გამშორდები სულიკო,
აგრემცა გენაცვალები,
არ გებრალება მაინცა,
ეს ცრემლით სავსე თვალები?!
მინდა, რომ იყო ჩემთანა,
ალერსით შემოგცქეროდე,
არავინ მყავდეს მეტოქე,
სიამით შემოგმღეროდე!
წითელი კაბით მოსილი,
ტურფა ხარ სანახავათა,
რომ შემოგყურებ, ვგმირდები,
გული მიტოკავს მწვავათა.
ნუ გამშორდები გენაცვა,
ქირიმე შენი სულისა!
მერწმუნე, მსხვერპლი გავხდები
ერთგული სიყვარულისა!..

ივ. ხედაძნელი.

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

ბათუმელ კვინწარი ეშმაკისა.

(ეშმაკზე უეშმაკესი ეშმაკის აღმოჩენა ბათუმში)

მეტად დიდი ეშმაკი ბრძანდებით, თქვენო მაღალ-უეშმაკეულესობავ, მარა, ნუ გეწყინებათ, თუ მოგახსენებთ, რომ ჩემდამო რწმუნებულ რაიონში აღმოვაჩინე ეშმაკი თქვენზე უეშმაკესი. არ დასაჯერი ამბავია, მარა ვფიცავ ტარტაროზისა ულვაშებს, რომ ნამდვილს მოგახსენებთ. მართალია ჩემ მიერ აღმოჩენილი თქვენზე უეშმაკესი ეშმაკის ეშმაკეულება მიმართულია სულ სხვა რამეზე, ვინემ ეშმაკეული თქვენი მაღალ-უეშმაკეულესობისა, მარა, ეს გარემოება ახლად აღმოჩენილს სრულიად არ ართმევს ტიტულს დიდ ეშმაკისას. ყოველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ ჩემს რაიონში აღმოჩნდა თქვენზე უეშმაკესი ეშმაკი, მთელს ეშმაკეთში უნდა იქნეს ცნობილი.

ეჭვი არაა, რომ ამ საკვირველ აღმოჩენას მთელი ეშმაკეთი დიდის ყურადღებით მოეპყრობა და დაინტერესდება გაიგოს, თუ ვინ ბრძანდება ახლად აღმოჩენილი ეშმაკზე უეშმაკესი ეშმაკი.

ახლად აღმოჩენილი ეშმაკი კარგა ხანია დაყუდებული ყოფილა ბათუმის ქალაქის თვითმართველობაში და დღიდან მისი იქ დაბუდებისა ნელ-ნელა, თანდათანობით ირკვევოდა საკვირველი ნიჭი მისი ეშმაკეული. იმდენად საგრძნობელი გამხდარა ეშმაკეულობა ჩემ მიერ აღმოჩენილ ეშმაკისა, რომ იმავე დაწესებულებაში დასაბამიდან დაყუდებულ მეორე ეშმაკს განეძრახა თავიდან მოშორება ახლად მოვლენილ ეშმაკისა *), კიდეც გაეკრა კვანტი მესხური, მარა ვერა ევნო-რა მოწინააღმდეგისათვის და დამარცხებულს ისღა დარჩენოდა, რომ თითი მოეკაკვა და ფარისევლური მეგობრობა ეწყო დამმარცხებელთან.

ამბობენ არა ეშმაკეულნი სულნი, რომ ეშმაკეულება ახლათ აღმოჩენილ ეშმაკისა მრჩობლ-სხმით-გარდასვლითიაო, ე. ი. მისი ძალა დიდათ არის დამოკიდებული ერთ დიდ დედო ეშმაკისაგან, რომელიც იმავე თვითმართველობაშია დაყუდებული და რომლიდანაც გადადის ეშმაკეულება აღმოჩენილსა ახალ ეშმაკის ძარღვებშიო, მარა ამას ამბობენ მხოლოთ და ეს ცალკე გამოკვლევას და მოხსენებას მოითხოვს.

ეშმაკეულობა აღმოჩენილ ეშმაკისა იმ ბოლო დრომდის მაინცა და მაინც არ სცილდებოდა თვითმართველობის ზღუდეებსა და, ამნაირად ფართე საზოგადოება მოკლებულ იყო საშვალებას გაცნობოდა ნიჭსა მისსა საკვირველსა. ხოლო ამ ბოლოს კი ლომბარდისა გამგის—მელიტონ გლახა ეშმაკის გლახურათ გადაკარგვამა ჩვენსა ეშმაკსა მისცა საშუალება მისი ეშმაკეული ფრთების ფართედ გაშლისა.

---

*) [illegible] ისტორიაში, რომ საქანქრეთ-

და იქმნა აღმოჩენილი ეშმაკი და დროებით დასმულ ლომბარდისა გამგისა ტახტზე.

გაიმაგრა რა ამრიგათ პირველი პოზიცია ახალმან ეშმაკმან, იწყო მზადება ნიადაგისა მეორისა, ლომბარდისა გამგის სავარძელსა შინა ჩასაყუდებლათ. მარა, ეშმაკი არ კმაყოფილდებოდა 1200 ქანქარითა, რაიცა ეძლეოდა მის წინამოადგილესა, არამედ მოითხოვდა 1500 ქანქარსა, ბინასა, განათებასა (თუმცა სინათლე ფრიად წყენს ამგვართა ეშმაკეულ სულთა) და გათბობასა და ამაებთან კიდევ დატოვებასა თვითმართველობაში ეგზეკუტორისა *) ადგილზე. ვინაიდან აღმოჩენილი ეშმაკი მოითხოვდა გაცილებით უფრორე მეტსა, ვინემ იღებდა მისი წინამოადგილე მელიტონ გლახა, ამიტომ საქმე, განძრახული აღმოჩენილისა ეშმაკის მიერ იყო ფრიად ძნელ აღსასრულებელ, ხოლო აღმოჩენილ ეშმაკისათვის წყალობითა მისი ეშმაკეულობითა ფრიად ადვილ მოსაჭახრაკებელ.

და აჰა, გაშალა ფრთები აღმოჩენილმან ეშმაკმან და გაჰბერა ლომბარდისა საქმენი. მოაჩვენა ყველასა, რომ მოწესრიგება საქმეთა ლომბარდისათა უფრორე ძნელ არს, ვიდრე მოწესრიგება საქმეთა ბალკანეთისათა, ანუ უფრორე ძნელ, ვიდრე გაძრომა აქლემისა ნემსისა ყუნწად. და თუ ვინმე შეძლებს ლომბარდის აწეწილ საქმეთა მოგვარებასა ისევ და ისევ აღმოჩენილი ეშმაკი. ამ ფრიად დიდი აზრის ეშმაკურად გატარებაში აღმოჩენილმა ეშმაკმა დაიხმარა გაზეთი ბათუმისა, წოდებული „Надо отдатъ ей справедливость,“**) ანუ ,,ბათუმისა ხმად.‘‘ მისცა განცხადება ქალაქის გამგეობასა, რომელშიაც იუწყდებოდის, რომ დიდ არს საქმენი ლომბარდის მოწასესრიგებელი, საქმენი ესე არ დასრულდების მომავალი წლის ზაფხულამდე და ამიტომ ეშმაკი ახლად აღმოჩენილი ითხოვდა განთავისუფლებასა ლომბარდის დროებით გამგის მძიმე მოვალეობისაგან. განცხადება ესე მოსაფენად ქვეყანისა დასტამბა „ხმამან ბათუმისამან‘‘.

ამა განცხადებითა ეშმაკი აღმოჩენილი ატყობინებდა ყველასა: ფრიად ძნელ არს ტვირთი ლომბარდის გამგისა და რომ თვინიერ ჩემსა ვერავინ გაართმევს თავსა საქმეთა ამათ.

ასე ეშმაკეულათ მომზადებულ ნიადაგითა წარსდგა ახლად აღმოჩენილი ეშმაკი კანდიდატათა ლომბარდისა გამგისა ადგილზე. მასთან ერთად წარსდგა კაცი ვინმე, წოდებული ალექსანდრე ნათაძეთ. კენჭისა ყრამან აღმოჩენილსა ეშმაკსა მიანიჭა ყოველ წლიურათ 1500 ქანქარი, ბინა უფასო განათებითა და გათბობითა და აგრეთვე

---

*) არა ვიცი რასა ეწოდების ეგზეკუტორი. ვითხოვ ეშმაკისაგან განმარტებასა ამა სახელისას.

განმარტება ეშმაკისა: ეგზეკუტორი ეწოდების ყოველთა სასყიდელისა მყიდველსა. ადგილი ესე ყოველსა კუ[illegible]სა ფრიად სარფიან არს, ვინაიდან.... წერტილნი არა საჭიროებენ განმარტებასა.

ეშმაკი.

**) ასეთსა ეპიტეტსა გაზეთი «ბათუმისა ხმა» ხშირად

ადგილი ეგზეკუტორისა, ხოლო ნათაძესა ალექსანდრესა—არაფერი.

შემდგომად ყოველივე ზემოთ თქმულისა მთელი ეშმაკეთი დამეთანხმება, რომ მე მართლა აღმომჩენია ეშმაკზე უეშმაკესი ეშმაკი და ამიტომ აღსანიშნავად მისდამი პატივისცემისა დიდისა, განვიზრახე მიძღვნა ამა ლექსისა, რისთვისაც ვითხოვ ყურადღებასა თქვენსა.

სმენად აღემართენით!

—

ვინ იქნება ისე მარდი,
რომ გააძროს რწყილსა ტყავი,
და საძღომათ საქანქრეთში
შეაკვეხოს თვისი თავი;
უქანქაროს კრას მოგვერდი,
საქმე უქნას მეტად ავი,—
მიაკითხეთ, „უპრავაში“
აიხსნება ეს ამბავი...

—

ვინ იქნება ისე წვრილი,
რომ გაძვრება ნემსის ყურში,
პირველია პირველთ შორის
საქმე მოჰახრაკებულში,
ვერ დააკლებთ ვერაფერსა
თუნდ ჩაავლოთ ხელი კუდში,
მიაკითხეთ და იხილავთ
„უპრავისა“ შუა გულში.

—

ვინ იქნება—წყალში ჩავა
და ამოვა ისევ მშრალი,
ფხიზლათ თავსა მოგაჩვენებს,
თუნდაც იყოს ძალზე მთვრალი,
ვის სიტყვას აქვს „გამგეთათვის“
უფრო მეტი გასავალი?..
მოიკითხეთ „უპრავაში“
და იქ ნახავს თქვენი თვალი.

—

ვინ არის, რომ ეშმაკობით
წააცილებს ეშმაკთ ჯარსა
და „გამგეებს“, სადაც კი სურს,
იქეთ უკრავს მჩატე თავსა,
ვისაც უნდა, იმას მისცემს
საქანქრეთში გასახრავსა,
მიაკითხეთ „უპრავაში“,
იქ ნახავთ ამ სანახავსა.

კვინწარი.



ᲛᲔᲯᲔᲓᲔᲚᲘ.

მთელი სიცოცხლე ჩაქუჩი ურტყა,
პირი უსწორა ელვარე რკინას,
შრომობდა ფულზე და მით იძენდა
საჭმელს, სამოსელს და სამყოფს ბინას.

მთელს სიცოცხლეში ბორკილებს ჭედდა:
ტყვეებს ხელფეხზე ხუნდებს ადებდა,
იქ ღებულობდა ძუნწ გასამრჯელოს
და მით მთელს ოჯახს ასაზრდოებდა.

მაგრამ უშოვეს რაღაც მიზეზი,
„ცრუ დამნაშავეს“ მოჭიდეს ხელი,
ჩასვეს საკანში და თვით დასჭედეს
აქამდის სხვისთვის ხუნდის მჭედელი.

და აუტირეს წვრილი ცოლშვილი,
მასაც მოჰგვარეს თვალებში ცრემლი,
დარჩა ნაოხრად სამჭედლო ქურა,
რკინა, ჩაქუჩი, ურო და გრდემლი.

მთელს სიცოცხლეში ბორკილებს სჭედდა,
ტყვეებს ხელფეხზე ხუნდებს ადებდა
და რა იცოდა, თუ ამ ბორკილებს
თვისივე ხელფეხს ის უმზადებდა?!.

ნ. ზომლეთელი.

ᲖᲦᲕᲐᲡ.

ზღვაკ, რა მოგსვლია, შეუუფრიხარ მწკვესა ფიქრებსა?
რად არ ახქეფებ, ახმაურებ მძლავრსა ზვირთებსა?
ხედავ სად კედესა ბუმბერაზად ზე ადმართულსა?
უხარის, რომ სტვრეტს ძალსა შენსა ესრედ დანთქმულსა.

შენნი ზვირთები მისსა კალთებს არ ეკვეთვიან
შენ სიძლიერის წინაშე აწ კედენი არ კრთიან
თუმც მცირე ძალნი ბრძოდის ფინით მოდად იდგზნებიან,
მაგრამ სად-კედეს-კი სულ ამოოთ ეკვეთებიან:

მის სიძლიერეს ვერ დასძლევენ მცირე ტალღები,—
გამარჯვებისთვის საჯირო მძლავრი ძალები,
აღქაფებულნი, რომ სულ ერთად თავსა იურიან;
ებრძვიან სად-კედეს, კასკნირში ქედს არ იხრიან!

მაშ, შენც ნუ ჭმუნავ, კაეშნი გადაიშორე!
წარხოც-წალეკე გარს რომ გარტყამს გახრწნილი ტბორე
და გეკედ-ბაკანი მიეც უფსკრულს, დასასმარე;
მათ ეიეინისკან, გესკ-შხამისგან იხსენი მხარე!

ზღვაკ, ამდკდგარნი, ნუ ეძლევი ესოდენ კრთოლვასა;
ოფრა აშალე, თავი მიეც გიეურსა ლტოლვასა!
ეკვეთე მედგრად, შეუნგრიე ფერდი მთის მწკერვალს,
რომელიც ზღუდეთ ადმართულა, გიხუთავს სავალს!

აღქაფდი, ზღვაო, თორემ სულ მთლად ტბორად იქ-
ცევი,
ბინძურ და გახრწნილ საგანეთა შენ გადიქცევი.
აღქაფდი, კმარა ნუ იდუმლობ სეკდიან სახით;
აღქაფდი, ზღვაო, ეკვეთეკი კედეს სიამაეთ!

დ. თურდოსპირელი.



ო რ ი ე შ მ ა კ ი.

პირველი ეშმაკი.

ძმობილო, რისთვის დადუმდი?
სჩანს საქმე შემოგელია...
მაშ, პატივი მაქვს, გაგაცნო
ჩვენი ფარცხმელი *) შელია.
მისი აქ დასურათება
უმეტეს სასურველია,
მაგრამ გამოთქმა ყოველის
სახიფათო და ძნელია.

მეორე ეშმაკი.

რაღას აგრძელებ, მიგიხვდი...
ალბათ, ეს ვინმე ღვდელია
და დრამას ბოჭავს სოფელში
ხინკი რო გამოელია.

პირველი ეშმაკი.

არა, ძმობილო ვერ მიხვდი,
არც არის საკვირველია...
იმას მუდამ-ჟამს მათრახზე
უვლია მაგრა ხელია,
სწორეთ გასტანჯა ბაზარში
მან გამვლელ—გამომვლელია.
თუ ჩაუვარდი კლანჭებში,
გამოსვლას ნუღარ ელია
და გზა კი ოზურგეთამდე
მოგრძო და საგრძნობელია.

*) ფარცხმა სოფელია გურიაში (ჩოხატაური).

მეორე ეშმაკი.

რატომ ვერ მივხვდი ნეტავი?!.
პირველათ მესმის შელია!!.
არც ვაჭარია? არც გლეხი?
არც სკოლის „სმოტრიტელია"?

პირველი ეშმაკი.

არც ერთი, არცა მეორე,
არ იცნობ უეჭველია...
ბაზარში ნავარდისაგან
მარად-ჟამს ოფლით სველია,
და ვაი იმას, ვისაც აქ
მოუდის საქონელია;
ცხენს ისე ხომ არ გაუშვებს
რომ არ შეყაროს ხელია..
მაშინვე „ფაშფორთს" მოგკითხავს,
სხვა საქმის გამძრახველია.
იქნებ, ვინ იცის, სახლიდან
უცაბედ გამოხველია,
და რაღაც ქირი „ფაშფორთი"
თანაც არ გამოგყოლია,
ოზურგეთისკენ გაგგზავნის
ჩვენი ბატონი შელია.

მეორე ეშმაკი.

მიკვირს, ყმაწვილო, ეს გვამი
თუ ეგ ხომ საძაგელია,
რატომ არ ხმარობ კუდინსა,
ნუ თუ მთლათ შემოგელია?

ქართველი მოღვაწეები.

მოციქულთა სწორი თავადი

კონსტანტინე თუმანიშვილი.

გაიკვირებს მკითხველი: ეს რომელი მოღვაწეა, სად მოღვაწეობდა, ან რას მოღვაწეობდაო? და სანამ მე პირდაპირ კითხვაზე პასუხს მოუგებთ, მოვითხოვ მცირე განმარტების ნებართვას. ქართველ მოღვაწეთ ჩვენ მარტო იმათ როდი ვსთვლით, ვინც ქართულ ენაზე სწერს, არამედ იმათაც, რომელთა აზრი და კალამი ქართულ საქმეს ემსახურება. საგანი ჩვენი დღევანდელი გამოკვლევისა არის სწორეთ ამ მეორე კატეგორიის წარმომადგენელი. ამიტომაც კონსტანტინე თუმანოვს რუსულ

ჟურნალ-გაზეთების კითხვის საშვალებას მოკლებული საზოგადოება მცირეთ და, თითქმის სრულიადაც არ იცნობს. სამაგიეროთ ისინი, ვინც რუსულ შავ-რაზმულ ლიტერატურას კითხულობენ, საკმაოდ იცნობენ ჩვენი მამულის სასიქადულო შვილს.

სიყრმე კ. თუმანიშვილისა. კ. თუმანიშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში, მდიდარი კათოლიკე თავადის პავლე თუმანოვის ოჯახში, ასე ორმოციოდ წლის წინათ. ღვთის მოყვარე და მართლ-მორწმუნე მშობლებმა ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს გულში პატარა კოწიას ღვთის შიში და მოკრძალება, რითაც მკვიდრი საძირკველი ჩაუყარეს მის ბუნებრივ იეზუიტურ მიდრეკილებას.

კ. თუმანოვი გიმნაზიაში. სწავლის ჰასაკი რომ დაუდგა პატარა კოწია მშობლებმა ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. აქ მან სამაგალითო ნიჭი და უმეტეს სწავლის მუყაითობა გამოიჩინა, რითაც დიდი და სამართლიანი სიყვარული დაიმსახურა ალმზრდელთა შორის. სამაგიეროთ ტოლ-ამხანაგებისაგან ყოველთვის განდეგილათ სცხოვრობდა და მუდმივ დევნას განიცდიდა. ერთად-ერთ სატრფიალო საქმეს ნორჩი გიმნაზისტისას წირვა-ლოცვის დროს მღვდლის სამსახური შეადგენდა, და რადგანაც კათოლიკეთა მოძღვრები თითქმის დღე მუდამ წირვა-ლოცვას ეწევიან, პატარა კოწიასაც ბევრი საქმე ჰქონდა. სასიამოვნო სანახავი იყო ის, როდესაც თეთრ პერანგ გადაცმული საკეცხლურით ხელში მოძღვარს წინ დაუდგებოდა და თავაზიანი ამბორით საკეცხლურს გადასცემდა!

კ. თუმანოვი უნივერსიტეტში. ჩვენმა პატარამ გიმნაზია ვერცხლის მედლით დაამთავრა და მოსკოვის უნივერსიტეტში გადავიდა სწავლის განსაგრძობათ. თავისი ძირითადი თვისებები რასაკვირველია მან თანვე წაიღო და სტუდენტობის ცხოვრება ჩვენი გმირისა ერთობ მდიდარია მრავალმნიშვნელოვანი ფაქტებით. როგორც გიმნაზიაში, ისევ აქაც კოწია თუმანოვი ამხანაგებთან არა კეთილ-განწყობილებაში იყო და დაუდეგარი ხასიათისა გამოხშირათ ფათერაკიც გამოუვლია.

ინციდენტი პირველი. ამ სათაურებში, მე მსურს აღვნიშნო და ცოტათ თუ ბევრათ გავარკვიო სათავე იმ „სასახელო“ ოვისებათა, რომლებითაც ერთობ მდიდარია თანამედროვე ცხოვრება აღნიშნულ მოღვაწისა.

როცა მოსკოვის სტუდენტთა „ზემლიაჩესტვო“ სხვა და სხვა „ზემლიაჩესტვოთა“ საბჭოში თავისი წარმომადგენელის გაგზავნას აპირებდა, კოწია თუმანოვი სასტიკათ აღუდგა ასეთ „დამღუპველ“ მიდრეკილებას და განაცხადა:

ქრისტეს მიერ ძმანო ჩემნო! ჩვენთვის სრულიად საჭიროა არ არის რუს სტუდენტებთან კავშირი დავიჭიროთ და ჩვენი გულის საიდუმლოებანი მათ გავუზიაროთ. მე წინააღმდეგი ვარ დელეგატის გაგზავნისა, მაგრამ თუ მაინც არ დაიშლით და გაგზავნით გთხოვთ სასტიკათ დაევალოს, რომ მან იქ არაფერი ილაპარაკოს, ხოლო იჯდეს და ისმინოს ლაპარაკი სხვათა რათა გვამცნოს საიდუმლო განზრახვანი მათნი.

აი, აზრები მარგალიტები
ჩვენს ენას დავსდვათ ძმანო კლიტეები!

ამ დიდებულ აზრს (დელეგატის გაუგზავნელობას) კიდევ იმით ასაბუთებდა ჭაბუკი კონსტანტინე, რომ ცენტრალურ საბჭოს წევრებს ხშირათ ატუსაღებენ და ქართველ კაცს ტყვილათ დავკარგავთო.

ინციდენტი მეორე.

იმ ხანებში მოსკოვის უნივერსიტეტში შესდგა ეგრეთ წოდებული „დამბაშიძისტთა“ ჯგუფი, რომელმაც მიზნათ დაისახა ქეშმარიტ-ქართულ საქმის

წარმოება ქართველ სტუდენტთა შორის. ვისაც ქართულ კრებებზე რუსული სიტყვა წამოსცდებოდა, მსწრაფლვე აჯარიმებდენ დაწესებული გზითა და საშვალებით. კოწია თუმანოვი, ჯგუფის დაარსებამდე წინააღმდეგი იყო ასეთი იძულებითი შეევიწროებისა. მაგრამ როცა ჯგუფი დაარსდა მსწრაფლ იცვალა ფერი და ჯგუფის ენერგიული წევრი გახდა. საზოგადოთ ის სტუდენტობის დროსაც ძლიერ გულ-ჩახვეული და არა წრფელი ადამიანი იყო. თავის ნამდვილ აზრს არავის გაუზიარებდა, რისთვისაც ამხანაგები იეზუიტის სახელით ნათლავდენ. ეს ეპიტეტი მას სრულიად სასირცხოთ არ მიაჩნდა, პირ-იქით თავსაც იწონებდა იმითი.

როგორც ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს, ერთხელ ენატანიობის მაგვარ საქციელისათვის ერთმა ამხანაგთაგანმა სილა გაარტყა და თანაც სამარცხვინო სახელი უწოდა. ამბობენ კოწია თუმანიშვილმა, თანახმად ქრისტეს სარწმუნოებისა, მეორე ყბა მიუშვირა და უთხრა: აჰა კიდევ გამარტყი, მეტის ღირსი ვარო.

სამშობლოში დაბრუნება. იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, ენერგიითა, ქრისტეს მოძღვრებითა და იეზუიტური გრძნობებით გაჟღენთილი კოწია სამშობლოს დაუბრუნდა. მან ჩამოსვლისათანავე ხელი მიჰყო საქართველოს საქმეთა აღორძინებას და რადგან ამისათვის საჭიროთ მიაჩნდა, საერთოდ ყველა ქართველთა და უპირველესათ თავისი გამდიდრება, ბაქოსკენ გაემგზავრა ოქროს საძიებლათ. ოქროს მოყვარულობამ მასში უფრო ადრევე, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, იჩინა თავი და შედარებით მდიდარ-შეძლებული ოჯახის შვილმა ერთ ღარიბ სტუდენტს გამოსტაცა სახელმწიფო სტიპენდია. რადგანაც ბაქოში ბედის ვარსკვლავმა არ გაუღიმა, ის უკანვე დაბრუნდა და ჰიათურის შავ-ქვაში ჩაეფლო.

ჰიათურაში, როგორც მოგეხსენებათ, შემოღებულია ერთი ფრიად სიმპატიური ჩვეულება. ეს რა თქმა უნდა მაღალ და „კეთილ-შობილ“ მუშაკთა შორის. აქ, რამდენათაც ვალდებულება მოსამსახურისა მცირეა, იმდენათ ქანქარი მეტი ეძლევა და კოწია თუმანოვიც გაინაბა ადგილობრივი ბანკისა და ამხ. „შავი-ქვის“ ძუძუებზე, სადაც 4000 ქანქარსა სწოვდა ყოველი იანვრიდან იანვრამდე.

ერთნაირი ცხოვრება ვის არ მოსწყინდება. ფინანსიურმა მოღვაწეობამ ძლიერ „დაჭანცა“ ჩვენი იეზუიტი და გადასწყვიტა სამწერლო ასპარეზზე გამონავარდება. ეს ისტორიული აქტი მოხდა 1905 წლის ზაფხულში, როდესაც ეკონომიის დოქტორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა „განახლებული“ ივერიისათვის კაცი ველარ იშოვნა. ხომ მოგეხსენებათ: „უძველო ქვეყანაში კატას აკეფებენო,“ და აქაც ეს განმეორდა. კოწია თუმანოვი უცებ დასკუბდა მარჯვნით თვით ფილიპე გოგიჩაიშვილისა. სამწუხაროთ, ამ აქტმა დაარღვია ერთი ფრიად გავრცელებული კანონი: ერთგვარი ძალები ერთმანეთს გაურბიანო, მაგრამ გამართლდა სამაგიეროთ მეორე: „გულს გული იცნობსო“.

„ივერიის სიკვდილი. გაზეთი „ივერია“ თუმცა ძველთან შედარებით თითქო განახლდა, მაგრამ მაშინდელი დროისათვის თითონაც ძველი და დღე—მოკლე გამოდგა. მიუხედავათ ზუბალაშვილების მსუქანი ლუკმისა, რომელსაც კბილი თავისი კოწიამაც რიგზე გაჭკრა, ხელოვნურათ გაბერილი გაზეთი მალე დაიჩუტა და აღიგავა პირისაგან ქვეყნისა საკუთარი დღით. მას შემდეგ კოწია თუმანოვი თითქო სადღაც მიიმალა და რადგანაც აშკარა რეაქციონური ორგანო არსად იყო დროს ელოდებოდა.

„ზაკავკაზიეს“ შესყიდვა. ცხოვრებაში ძალთა განწყობილება თვალ-საჩინოთ შეიცვალა და „საშობლო ცაზე“ ღამურები ამონავარდდენ. თავად აზნაურობამ, (რომლებსაც ამდროისთვის ახალი სახელ წოდება „ზუბრები“ დაარქვეს) წელი მოიმაგრა, საჭირო იყო მხოლოდ მათი დროშის აფრიალება და ბელადობის გაწევა. ამ საქმისათვის შესდგა წრე, რომელსაც სათავეში მოექცა კ. თუმანოვი და შეიძინა ბ. გოთუას სავაჭრო სახლიდან გაზეთი „ზაკავკაზიე.“

კოწია თუმანოვმა კვალად გამოანათა! მაგრამ თუ ,,ივერიის'' დროს გოგიჩაიშვილის კუდზე იყო მომბული, დღეს ზუბრების შუბლზე დასკუბდა და მოწინავეები დააგრძელა. აქ საბოლოოთ აეხადა ნიღაბი მის ჭეშმარიტ სულის კვეთებას და დღეს მკითხველი საზოგადოების წინაშე სდგას ნამდვილი ტიპი ქართველი იეზუიტუსა.

ისტორიკოსი.

P. S. სამწუხაროთ ადგილის სივიწროვისა გამო იძულებული ვართ მოკლეთ შევეხოთ ამ, ყოველი მხრივ საინტერესო, პირს ჩვენი ცხოვრებისას და ღვიძლ შვილს უკანასკნელი წლებისას. მისი „ზაკავკაზიური“ მოღვაწეობა პირდაპირი-გაგრძელება იმ სულიერი ავლადიდებისა, რომლითაც სირყმიდანვე უხვად დააჯილდოვა ბუნებამ კოწია თუმანიშვილი.

ი.

ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ

მრავალ-ტანჯულ ყვირილის ბანკის ცხოვრებიდან.

და იყო სადმო, სადმო იგი ნეტარი... ყვირილის ვაჭრები განცხრომით განაგრძობდენ მსხლათს თავის ავადმყოფ შვილის (იგუდისხმენი) ჭირ-ვარამზე ბჭობდენ, დაუბობდენ. ახლოხის და ყიღეტის ფოდაქები მოურიდებლათ, მიმაბაშურათ გაეხსნათ და შესუქებულ დიშებს ერთმანეთს თვალში სჩრიდენ.

შესაიფობდენ...

ალიხანოვის სახელს ნეტარ იხსენიებდენ და ზედგ ასე დამღერობდენ:

ნეტარ იყოს ის დღე, ჟამი,
ოდეს შენ ჩენ მოგვეგლინე
და ერთობის ყინი გვეარე
გაგვმდიდრე, მოგვალხინე.

ერთხანს კიდეც ისხდებოდენ და უდარდელ მუსაიფს განაგრძობდენ, რომ თავმჯდომარეს არ გაეხსენებია ის

სოფლარი ამბავი, რომელიც ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ მოუვიდათ. იწერებოდა ქანქართა მინისტრი:

„ᲣᲔᲠᲘᲓᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲢᲠᲘᲗᲝᲜ ᲜᲘᲝᲠᲐᲫᲔᲡ! ᲩᲔᲛ ᲣᲤᲠᲐᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲮᲔᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲛᲔᲑᲘ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲜᲐᲗᲔᲚ-ᲛᲘᲠᲝᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲝᲑᲓᲝᲑᲐ ᲣᲮᲒᲐᲗ ᲘᲧᲝᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲘᲙᲚᲘᲡᲙᲣᲠ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲣᲤᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲠᲐᲗᲐ ᲣᲙᲔᲓᲐ ᲔᲡ ᲘᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲕᲘᲪᲘᲓᲝᲗ, ᲓᲐ ᲘᲝᲜᲔᲑ ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲑᲐᲗ ᲐᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲬᲓᲔᲗ, ᲩᲐᲛᲝᲑᲠᲫᲓᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲣᲠᲐᲗ ᲛᲝᲓᲒᲘᲚᲐᲠᲐᲕᲠᲐᲙᲝᲗ.

ᲛᲘᲘᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲡᲬᲐ...

ᲥᲐᲜᲥᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ.

P. S. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲐᲑᲐᲒᲐᲠᲘᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲬᲧᲝᲗ ᲐᲥ ᲢᲣᲥᲣᲘᲓᲔᲑᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲛ ᲣᲛᲬᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲐᲜᲓᲣᲠᲔ, ᲘᲡᲔ ᲒᲣᲓᲐᲛᲝᲫᲣᲠᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲒᲘᲨᲕᲘᲗ ᲨᲔᲜᲪ ᲨᲔᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ.

ᲥᲐᲜᲥᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ.

ᲓᲐᲓᲝᲜᲓᲔᲜ ᲕᲐᲯᲐᲠᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ.

ᲐᲠ ᲔᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲐᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲓᲐᲛᲘ. ᲗᲐᲕᲘᲗᲔᲑᲘ ᲣᲙᲔᲑ ᲫᲘᲠᲘᲡ ᲩᲐᲭᲘᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲗᲘᲗᲥᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲑᲚᲘ ᲨᲔᲣᲙᲛᲣᲮᲜᲔᲡ.

ᲔᲪᲝᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲐᲞᲐ, ᲐᲒᲝᲜᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲣᲒᲣᲚᲝᲓᲒᲐᲜᲘ ᲜᲔᲑᲡᲘᲗᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲑᲓᲘᲔᲗᲜᲘ, ᲠᲝᲨᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲣᲓᲐᲕᲒᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲜᲥᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ.

ᲔᲪᲝᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲢᲠᲘᲗᲝᲜᲘ.

ᲐᲠᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲓᲐᲗᲘᲔᲥᲠᲓᲘᲗ, ᲙᲐᲪᲘ ᲙᲝᲓᲐ ᲜᲔᲛᲡᲐᲥᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲓᲐᲠᲐᲯᲔᲑᲘᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲮᲣᲗᲯᲔᲠ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲙᲐᲪᲘᲗ-ᲙᲐᲪᲣᲚᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲣᲪᲘᲗ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲗ ᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲡᲓᲒᲔᲑᲘ. ᲛᲔᲠᲔ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ!—ᲗᲕᲘᲗ ᲥᲐᲜᲥᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ!

ᲑᲠᲠ..., ᲢᲐᲜᲨᲘ ᲛᲐᲖᲠᲘᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲙᲐᲛᲐᲮᲡᲘᲜᲓᲔᲑᲐ. ᲡᲬᲣᲐᲚᲘ ᲢᲠᲘᲗᲝᲜ... ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲛᲐ ᲛᲔᲢᲝᲓᲔᲑᲐ.. ᲘᲗᲘᲥᲠᲔᲡ, ᲘᲗᲐᲕᲢᲔᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲓᲐᲣᲜᲔᲑᲣᲠᲐᲗ ᲙᲐᲓᲐᲬᲣᲕᲘᲢᲔᲡ ᲢᲠᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲢᲠᲔᲡ ᲥᲐᲓᲐᲥᲨᲘ ᲙᲐᲛᲔᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ, ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲘᲒᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲗᲐᲜ ᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲙᲐᲛᲬᲣᲠᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲢᲠᲔᲑᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲛᲐᲙᲘᲔᲠ ᲒᲚᲐᲓᲘᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲬᲘᲚᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ, ᲙᲐᲓᲐᲬᲣᲕᲘᲢᲔᲡ ᲗᲐᲜ ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲐᲬᲙᲔᲜᲔᲑᲚᲐᲗ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲣᲠᲒᲚᲐᲠᲘ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲗᲣᲛᲐᲜᲝᲕᲘ ᲙᲐᲕᲣᲠᲘᲡᲐᲗ. ᲡᲐᲒᲖᲚᲐᲗ ᲙᲐᲓᲐᲬᲣᲕᲘᲢᲔᲡ, 300 ᲥᲐᲜᲥᲐᲠᲘ, 100 ᲙᲘᲚᲝᲢᲠᲘ, ᲠᲗᲘ ᲘᲜᲓᲐᲣᲠᲘ, ᲡᲐᲛᲘ ᲠᲣᲭᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲗᲘ ᲩᲐᲛᲘᲪ ᲛᲐᲓᲚᲝᲠᲘᲡ ᲓᲕᲘᲜᲘᲗ ᲙᲐᲢᲚᲔᲑᲘᲗ. ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲓᲔᲜ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐᲜ ᲠᲗᲘ ᲡᲐᲞᲐᲓᲜᲔ ᲡᲐᲛᲔᲓᲠᲘᲡ ᲬᲕᲔᲜᲘᲡ ᲓᲐ 9 ᲙᲝᲛᲘᲭᲘᲡ ᲙᲐᲢᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲥᲝᲜᲘᲔᲡ ᲠᲐ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲨᲘ ᲢᲠᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲫᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲣᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲛᲨᲝᲜᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲓᲔᲑᲘᲡ, ᲐᲠᲩᲘᲔᲡ ᲐᲓᲐᲠ ᲙᲐᲢᲚᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜ.

ᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲙᲐᲛᲐᲮᲬᲕᲔᲡ ᲢᲠᲘᲗᲝᲜᲘ, ᲡᲐᲛᲙᲖᲐᲕᲠᲝᲗ ᲐᲮᲐᲓ ᲨᲔᲙᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲩᲐᲙᲔᲚᲘ, ᲒᲣᲚᲖᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲝᲑᲡ ᲛᲐᲙᲐᲠ ᲛᲓᲒᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲙᲣᲠᲗᲮᲘ ᲬᲛ. ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲔᲡ ᲮᲐᲢᲘ ᲙᲐᲓᲐᲭᲘᲓᲔᲡ, ᲛᲘᲐᲢᲘᲓᲔᲡ ᲮᲔᲚᲘ-ᲮᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲐ-ᲙᲝᲩᲘᲡ ᲑᲐᲭᲕᲜᲐᲨᲘᲓᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲚᲘᲢᲔᲠᲣᲛᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲒᲖᲐ ᲓᲐᲣᲚᲝᲪᲔᲡ.

ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲙᲐᲣᲨᲘᲠᲐ.

ᲙᲘᲓᲔᲪ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ: ᲡᲣᲡᲘᲥᲐᲓᲣᲚᲝ, ᲣᲜᲒᲐᲠᲝ ᲡᲐᲓᲛᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲓᲒᲐᲧᲕ, ᲢᲠᲘᲗᲝᲜ! ᲒᲘᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲗ... ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲠᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲫᲠᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲘᲗᲝᲜᲘ ᲗᲐᲜ ᲒᲐᲘᲢᲐᲢᲐ... ᲓᲐᲓᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲯᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲡ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲙᲐᲜᲢᲘᲒᲣᲜᲢᲐᲗ ᲒᲐᲘᲡᲛᲝᲓᲐ: ᲗᲠᲘᲪᲘᲢ ᲠᲝᲒᲝᲜ..., ᲓᲔᲒᲔᲜᲐᲠᲢᲝ... ᲐᲛᲑᲝ... ᲕᲯᲠᲔᲑᲘ ᲢᲠᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲩᲐᲡᲕᲚᲐᲓᲘᲡ ᲚᲝᲢᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲔᲥᲪᲔᲗᲝᲓᲜᲔᲜ.

ᲑᲐᲡᲘᲚᲘᲙᲐ.



ᲛᲔᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ.

ᲡᲣᲚ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲓᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠ,
ᲕᲘᲧᲕᲘᲠᲘ: „ᲣᲒᲚᲘ ᲮᲐᲠᲝᲨᲘ!“
ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲘᲧᲘᲓᲘ, ᲨᲘᲜ ᲛᲘᲕᲐᲚ,
ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑ ᲝᲠᲛᲝ-ᲮᲐᲠᲝᲨᲘ!

ᲒᲐᲗᲔᲜᲓᲔᲑᲐ, ᲘᲛᲐᲕᲔᲡ,
ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑ ᲙᲕᲐᲚᲐᲗᲐ,
ᲜᲣᲗᲣᲗ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲧᲝᲤᲐ,
ᲙᲘᲡᲠᲐᲗ ᲛᲐᲓᲔᲕᲡ ᲕᲐᲚᲐᲗᲐ?

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ,
ᲕᲘᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲝ,
ᲛᲔᲪ ᲕᲘᲠᲐᲗ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲥᲪᲔ,
ᲗᲐᲕᲘ ᲙᲐᲪᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲓᲐᲠᲝ?!

ᲙᲐᲪᲘ ᲕᲘᲧᲝ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ,
ᲕᲘᲗᲘᲗᲚᲔᲑᲝᲓᲔ ᲕᲘᲠᲐᲗᲐ?!
ᲓᲐ ᲖᲝᲒ-ᲖᲝᲒᲘ ᲡᲣᲚᲔᲚᲘ,
ᲘᲗᲘᲗᲚᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲒᲛᲘᲠᲐᲗᲐ?!.

ᲕᲔᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔ ᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ!
ᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐ!
ᲠᲐᲪ ᲬᲐᲒᲕᲐᲠᲗᲕᲔᲡ, ᲛᲐᲡ ᲐᲥᲔᲗ,
ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲡ ᲕᲗᲮᲝᲕ ᲨᲕᲔᲚᲐᲡᲐ!

ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲩᲕᲛᲝ ᲒᲐᲛᲩᲔᲜᲝ,
ᲓᲐᲛᲘᲑᲠᲣᲜᲔ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ!
ᲗᲝᲠᲔᲛᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲘ,
ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘᲗ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ!..

 Მ. ᲚᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

მათიას ოჯახი

(შემდეგი. იხ. მათრახი № 4)

შემოდგომაზე.

მზე მოლალულათ, ძირს მიწას დასცქერს,
ყვითლად კრთის სხივი ძალმოტეხილი,
არ წვავს მთა და ბარს, როგორც ზაფხულში
ქვეყნის სიცოცხლე, მასთან შეზრდილი.

წაგო. ომი დიდმა მნათობმა,
მუდამ ბრძანება ვერ შეირჩინა,
მონამორჩილი ბუნების ბრძოლის
მიდის მოძებნოს მაშველი ბინა

გრილა საგრძნობლათ... მინდორ ველ-კორდებს
შემოაძველდა ლურჯი საცმელი...
ეს არის მალე ქარიც დაბერავს
დაერეკებათ სამოსზე ხელი...

ცაც დაიტირებს მიწის სიტიტვლეს,
ლაბანს საზამთროდ ნაბან ქვეყანას,
თან ცივი ქარი გადისისინებს
ჩაიზუზუნებს საძილო ნანას...

ფაცი ფუცია სოფლად, ყანებში
დღეს აგროვებენ ამ წლის ნამოქმედს,
თან ყველა მადლობს კარგი დარისთვის
ყველაფრის შემძლეს, ქვეყნის შემოქმედს. .

აქ ჩალას ძნავენ, იქ სიმინდს სტეხენ,
აი აქ ისმის ურმის, ჭრიალი,
აგერ ნახირი მწიფე ბალახში
და აგერ კიდევ ნამგლის ტრიალი.

არავის ახსოვს სასმელ საჭმელი,
ზამთრისთვის საზდოს იგროვებს ყველა,
ყვავსაც კი უნდა ტარო მოიგდოს,
თუ დრო იშოვა და დაახელა...

ყველა ფეხზეა ქალი და კაცი,
ეხლაა მათი გაწამაწია...
(ან კი უშრომლათ როდის-ღა იყვენ?
თუმც მათი ბედი ვერრამ წაწია!)

ჩვენი მათიაც თავის ცოლშვილით
წელზე ფეხს იდგამს, რთველს იწვევს, შრომობს...
ცხოვრების ზღვაში ბევრჯელ ნაწრთობი
დაუღალავად იღვწის და ომობს...

დღეს სიმინდსა ტეხს ცოლშვილით ერთად
აღარ იღლება გაკაჟებული,
თვლის თუ რამოდენ გოდორს აავსებს
კარგი ამინდით გახარებული...

„ქალო, ის ქენი, შენ კიდევ ესა!
ბბა აქ სიკო... ახლა იქ მიდი!''.
ცხარობს მათია მუშაობის დროს
თან გულს უხარებს კარგი სიმინდი.

დგება საღამოც... ჩვენი მათია
ცოტას ისვენებს, შრომამ დაღალა...
კალოს უცქერის... შავმა ფიქრებმა
მათიას შუბლი ერთობ დაღარა...

„ნუ თუ ამისთვის? ორი ტაროსთვის
ამდენი ოფლი ვაქციე, ვღვარე?“
ფიქრობს საბრალო წამოწოლილი
სახე შეკრული და გულ მწუხარე...

მარა ხომ დიდხანს ვეღარ იქნება,
ფიქრში გართული, ცუდათ მჯდომარე,
უნდა ეხლავე ჩალის ჭრა იწყოს .
მაშ შორს ფიქრი და ოცნება მწარე!

ვერ მოესწრება აწმყოზე ფიქრებს?
აკი ის მკაცრი აღარ შორდება,
თან დევდა დღემდის, აწიც ასე იქს
სანამ მათია აღარ მოკვდება...

ხელი დაავლო მათიამ ნამგალს,
ბასრათ ნალესი დაატრიალა,
ჩამავალი მზის მიმკრთალ სხივებზე
ერთგული რკინა ააპრიალა...

,,გენაცვალეო'' თან მიაძახა
და მსწრაფლ დააწყო ჩალის კონები...
არე დაჩრდილდა... მზეც დაიმალა
ბევრჯელ დასავლეთს ჩანაკონები.

ამ ცოტა ხანში სიკოცა მოვა
ურემს მოიყვანს, სიმინდს წაიღებს...
„ეს შერცხვენილი რათ იგვიანებს
ჩემს გაჭირებას რათ არ გაიგებს?“..

ფიქრობს მათია... და თან ჩალას ჭრის
თავს დასდგომია კაშკაში მთვარე:
ტყვია-ვერცხლისფერ ზღვაში დაცურავს
ყანა, მინდორი, სულ არე-მარე...

როგორაც იქნა სიკოც მოვიდა,
გოდრით ურემი თან მოიყვანა;
,,არ მათხოვაო,—უხსნის მათიას,—
სანამ თავისი არ მოიტანა;

აგრე ამბობდა ვერ გათხოვებო,
ვუცადე დიდხანს, დაიგვიანა,
ხომ იცი, მამა, იქ ყოფილიყვნენ
შორს რო აქვთ იმათ ი დიდი ყანა“...

„მაშ კარგი შვილო, დავიწყოთ ტვირთა,
მომე, სადლაა ჩვენი გოდორი!
ეს ჩვენი სარჩო მთელი წლისათვის
ძლივს თუ იქნება ურემი ორი“..

უკვე დატვირთეს, შინისკენ მოვლენ...
არღვევს სიჩუმეს ურმის ჭრიალი...
კრიჭინს ბანს აძლევს ჯერ კიდევ ფხიზელ
ფრინველთა ხმების წყნარი წკრიალი...

აი მათია ყანებსაც მორჩა
გარჩეულ სიმინდს ეზოში ახმობს,
ჩალა დაზვინა... მარა ვაი რომ
სევდაში შობილს დარდები აღრჩობს...

შვიდნი არიან ამ წელს სარჩენნი,
თან საქონელი სამიოდ სული,
ვის უნდა ეყოს ეს მონაწევი,
რით გაიტანონ ცხოვრება კრული?

იქნებ თებერვალს, ან შვა მარტამდის
ეყოს სიმინდი, პირუტყვთთვის ჩალა;
მერმე კი რა ქნან, რით იარსებონ
და შეირჩინონ სიცოცხლის ძალა?

ესეც არ იყოს მათიას ქოხი
ერთობ დაძველდა, შეკეთდეს უნდა,
ისლით ნახური დროთა სვლისაგან
მკაცრის ქარიდან ძლივს გადაბრუნდა...

თან შვილებს უნდა მამა გაუძღვეს:
ასწავლოს რამე, მისცეს სკოლაში...
უწერა-კითხვოთ ხომ ვერ დატოვებს
დუხჭირ ცხოვრების მწვავე ბრძოლაში!..

მაგრამ ხომ ამით არ გათავდება
მათიას ზრუნვა, ფიქრები მწარე!
რომ ასე იყოს, მაშინ რა უჭირს,
როდი იქნება ასე მწუხარე!..

მღვდელ დიაკონი, ჩარჩი, მევახშე,
მამასახლისი, სტრაჟი, ჩაფარი...
განა ოდესმე გაავიწყდება
საწყალ მათიას ეს მუქთა, ჯარი?

განა იმათთვის არ შრომობს დღე-ღამ
და წლიდან წლამდე საწყალი გლეხი!
რომ მოიმდუროს ერთი მათგანი
ხომ დაატყდება უბედურს მეხი!..

თავი ანება მათიამ დარდებს,
კუთხეში მიჯდა ფიქრთ გასაქრობათ,
თან მუხლს დაისვა შვილი პატარა
თავ დასავიწყათ და გასართობათ...

სახეს უკოცნის მამა პატარას,
ცდილობს ეღიმოს, შვილს ეალერსოს,
მარა უბედურს შხამის ისარი
აღარ შორდება, თითქოს გულს ესოს...

კრიჭა შეკრული ცოლს გადახედავს,
ეტყვის: საგზალი მომიმზადეო,
ხომ იცი ქალო, ხვალ ქალაქს მივალ,
უნდა გადვაგდო ბედზე ბადეო;

იქნება ცოტა ვიშოვო გროში
და მოვახმარო ჩვენს შავს დღესაო,
თან ამ ზამთარში მე იქ დავრჩები,
გაზაფხულს მოვალ, ყანას ვთესაო.

მათიას ცოლი ხმის დაუძვრელათ
საგზალს ამზადებს ჩაფიქრებული,
ისიც დარდშია თვის ქმართან ერთად,
გვნეშის საბრალო, გაფითრებული...

მან კარგად იცის გამოცდილებით
რა დღე მოელის მას ამ ზამთარში:
უნდა იბორჯოს უქმროთ ოჯახში,
უნდა იცხოვროს შიშში, ცანცალში...

რა დაქმარშვილდა მერმე ასეა
ბევრჯელ უგმია თავისი ბედი...
მარა რაღა ქნას, ხვედრი ესაა:
უნდა მოხაროს ტანჯულმა ქედი...

ვ. მალაქიაშვილი

(შემდეგი იქნება).

რა აზრის არიან სიყვარულზე.

რაჭველი. სიყვარულისათვის ქვედრულას გავ-ყვები ჭი...

ლეჩხუმელი. ჩიჩე ყოფილხარ! გულს გაგგ-რილებს და ქვე დარჩები გაფშხლიკებული; შე პო-ტოკია, მაგრათ უნდა ჩაკიდო ხელი ჩვენებური კა-ცივით, გაყოლა რა შუაშია.

სვანი. ისე ემე ემეთ ვერავის ჩავახედვიეფ ჩემ გულში, თვარა მე მე მე ვიცი.

იმერელი. კაია! შეხედე,—შემხედა, დაგწვა—დაგდაგა; იფხაკურა, იფხაკურა და... მარა ბალი წვე-როში გამწარდება.

მეგრელი. სიყვარული!.. ქო პატენი, ცხენზე სანადიროთ წასვლას კაი პატიოსან კაცსი მიატო-ებიებსი.

გურული. ციკაი!.. პაემანზე, თუ მიელოდები კაია დასტურ; რევოლიუციაზე წასვლას კი მირჩე-ნია იქინეი ყურყუტი.

ქართლელი. მა გოგოითი მეველი დასახლებას. საულლე ხარივით ამომიდგება გვერდში.

ოსი. რაი გითხრათ სენი წირიმე: სიყვარული რა მოცხებია; ქალი მეიყვანე, მიდორს უხარის-ოჯახს მუშა მიემატების, მე-კი წამოწექი და იძინე, მოპა რაია ქალი?!

სომეხი. ვაჰ ქალმა! ის სიყმის ამხანაგია. ის ჩემ მოსახლობაშია და ჩემი მოსახლობა იმაშია...

რუსი. სეგოდნია მნე, ზავთრა ვამ და დასვი-დანიე!

არტისტი. მნე ვსიორავნო!..

ა. ხაბულიანი.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(სენაკელებისათვის)

ახმახია,—ვით აქლემი,
გაბერილი,—ვითა ტიკი...
ახრებზე თუმცა აკერია,
მრ გეგონოთ „პონპოლიკი“.
ცნობილია მთელს მაზრაში
მელა კუდურ-მისი ხრიკი;
ყველგან, სადაც მოახერხა
გაიჩინა სოფლად „შპიკი“.
თუ მის ბადეს გაეკარი
და არ მიეც ქანქარიკი,
საქმეს ისე გამოგიწყობს
თითქოს იყო „კრამოლნიკი“.
ამ ბოლო დროს, გაძვერას,
თითონ მოხვდა პანლურიკი,
თუმცა როგორც შეჰფეროდა
ვერ აუწვეს კუდის რიკი.
რათ გაუწყრენ, თუნდაც მცირეთ,
არ იქნება ლაპარიკი...
ამბობენ რომ... „ტკბილ ცხოვრებას
სჭირიაო შაქარიკი“...

ჩელა.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ.

ᲛᲖᲔᲕ, ᲒᲐᲛᲘᲜᲐᲗᲔ!..

(ლექსი პროზათ)

ბნელა...კვლავ ბნელა... კარინდებით სდუმს არე მარე. არ რა მოძრაობს! კაპარუდა სადაც ნიავი, თითქოს წუდიადში გზა თავისი ვერ გაუგნია და შორს იქ ხეებში შეკრუნჩხულა, გაქვავებულა! უცდის სინა ლეს, რომ მის შუქზე ზე ამოიჭრეს, კაინავარდის თავისუფლად არე-მარეში: ტუეს ჩაუქრობდის, აშლის ის, აშრიალოს, უკვალოდ კაეკრას, მიჯრიერეთ მიუალერსოს, ჩაჭკოცნოს კრძნობით, კაკიეებით კუდში ჩაეკრას, გადაუფურჩქნოს, „მიეკარხარო“, ჩაუტიტინოს, შემდეგ დაეშვას დაბლა ხვევნა-ალერსით მთვრალი, მინდვრად ბალახებს ასამური უთხრას „ნანინა“ და ინავარდოს ცეკვა, სანამ მოეწყინების... მაკრამ... ოცნება.. ლაღი ფიქრი... ჯერ ხომ ის ტუეა, მთისა ორწოხში საცოდავად კამომწყვდეული. უცდის სინათლეს და ჩურჩულებს. „მზეკ, კამინათე“!.

...ის კი ეკლებში კახლართულა, ხმა ჩასწყვეტია... სატრფოს უმდერდა, ასამო ხმით აკადიებდა თვით მოხიბლული სიტურფითა, მისი შეკვნებით... მაკრამ ჩამწარდა...ბნელი ფარდა წინ კადეხარა; დაჭყარა სატრფო უკუნეთის ამაში ზეწარმა...იწეო ფრთხიალი; ბედის წუეკა, ასეკარდის ძებნა: იქით მიიკრა...აქით ეცა—ეკეკ-ეკან წუდიადი! და ბირ-ალმასი ქაცკ-ეკალი შწვავეთ მხნეკ-ლეტავი ტანს ეკაწრაკდა, სისხლს ადენდა, კუდს ექენჯნიდა... გზა კი... გზა არ ჩნდა! კუნუკეკრეტი იდგა წუდიადი.. მიკმარია მდერას! შეწუეტილი ხმა ამოიდო, მაკრამ ეკოინო, ეიმედო მოისმა ჭანკი!.. შეჭზარდა თვითვე..' კვლავ დადუდა...სეკდა ეწვია... და იწეო მოთქმა, დრო კაშეებით ბედისა მდურვა... სწეკვლის წუდიადსა, უნდა სატრფო კვლავ დაინახოს; უცდის სინათლეს, ეკერებს ჩუმათ: „მზეკ, კამინათე!“.

ბნელა.. კვლავ ბნელა... მკვდრული ძილი კამეფეებულა სოფელ ქალაქი მიკვანან შაკ-ბნელ სამარეთ! სადაა დღისა სა მური სიცილ-კისკისი? შეუწეეტელი მოძრაობა, კატა ერიამეული... ეოგელიეკ ეს ძილს მოაუნოქავს და განისვენებს! მეუდრეებაა სიშიშარი, კულის მქენჯავი!.. შორით... ჩუ! კვნესა!.. კლოკის კილო! ბედისა მდურვა!.. წეკვლა-კოდება ტრემლ-ნადვილით შეზავებული... მწარე მოლხენა დაჩკრეული ადამიანისა!..

— შენ რა კინდა აქ? შენა, კესმეს, ადამიანო?! ამ უკუნეთში ქურდულათ რას დაეხეტები? ვერ ამჩნევ წუდიადს? დამე ანის. დამე, ეკნურო! წა-შენ, მონახე მეუდრო ბინა და დაიძინე..

ეასუხათ მხოლოთ არე მარემ კადიარხარა და ეტ ხმა იეო სასარელი, ეოჯოხეთური!.. შესწედა იკი ხმა და კვნესა კი კვლავ კაისმის, უეორო ძლიერი, სასტიკი და კულის წამრთმეკი.. ის ზიდის, მისთვის კარკეკული ანის მიზანი! მაკრამ ნარ-ეკალით მოფენილი სავალი კზები და ეკ წუდიადი დღეს უმწარებს, წინსვლას უძნელებს.. მაინც მიიწევს, დაბრკოლებებს ზეადვე ელევა, ზიდის, მიიბრძვის, ბნელს მიარღვევს ადარა სდება! მას აქვს იმედი, კულს ეკზნება ის ციურ ტეტხლათ! ელის კანთადს და უეოვის: „მზეკ, კამინათე!..“

ნ. ზომლეთელი

ᲙᲔᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲯᲐᲛᲐᲖᲘᲠᲔ.

(სურათი დეზხუმის ცხოვრებიდან).

ᲙᲔᲘᲜᲐ: ბიკო, პავლიელა! რა არი ამ ორშაფათეულა რომ ფხანას მოსდგომიხარ, გაარყიე ხელი და თოხნე, ჯამაგირს არ აიღებ თუ?!!

ᲛᲝᲚᲯᲐᲛᲐᲖᲘᲠᲔ: შენ მომფხანე ქალბატონო და მე ქვე ვთოხნი!

ᲙᲔᲘᲜᲐ: გირჩენია მაგ ენის წაგძელებას თავი დაანებე. შენი გომბიო ხომ არ გგონივარ, რომ მეტატყანები?

ᲛᲝᲚᲯᲐᲛᲐᲖ. არა ბატონო! ავი ნუ მოგეცეს მე ჩემი ქალი არ შემეცვალოს! მასე გამოწყობილი ახლა კი არა, ნეტაი აღდგომას მაჩვენა თვარა თუ გინდა ყველიფერი კაი!

ᲙᲔᲘᲜᲐ: რა ვიცი, ი „ზრასტის“ ძაან მიძახოდა შარშან წინ და!

ᲛᲝᲚᲯᲐᲛᲐᲖ. ეჰ, მაშინ კაი გუნებაზე იყო ქალბატონო და იმისანე გახდა კოწოლი რომ გინახავს, მარა ახლა ღევიღუპე კაცი, რუსებმა შემიშინეს!

ᲙᲔᲘᲜᲐ: მამა ცხონდა იმგენის! რომ იძახოდით: „აფხანიკო“, „აფხანიკოო“ აპა რავა გეგონა? ქურდების და მამა ძაღლების ,,ამხანაკობა'' რა ჩემი საქმეა?!!

ᲛᲝᲚᲯᲐᲛᲐᲖ. არც მასეა საქმე ქალბატონო! ამ ხნის კაცი მევიყარე და ჩემი და ჩემი ოჯახის ქურდობა ჩვენ მამასახლიშსაც არ უთქვამს.—შე დალოცვილო თქვენი სახლი კაცი არ იყო ი შუაგულ ბალაში რომ დეიპირეს და ნაქურდალი ქალაბნები ხურჯინში ამოუღეს? გლეხკაცს აპა ერთი თუ რამე მოუპარავს ჩვენში? რაც დეიკარქება სულ თავადიშვილების და აზნაურიშვილების საქმეა.

ᲙᲔᲘᲜᲐ: პავლიელა მა „პრეცედატლობას'' თავი დაანებე თვარა ი თავადიშვილები და აზნოუშვილები ძმარს წამოგადენენ ცხვირიდან!

ᲛᲝᲚᲯᲐᲛ. სისხლი მაინც ქვე გამიშვრეთ ამ ორ წელიწადს და თუ ახლა ძმარი წამომედინა, წინ წავა ჩემი საქმე თუ კაცი ვარ.

ᲙᲔᲘᲜᲐ: ბიკო, ან თოხნე და ან შენ სახში წეეთრიე! შენი მუსაიფის რა მცოდნია შე ყურუსაღო შენ?!!

ᲛᲝᲚᲯᲐᲛᲐᲖ. რა ვქნა ქალბატონო! ი გახელებას რომ დამიწყეფ: ესო „აფხანიკობაო'', ესო ,,ზრასტიო'', ესო კიდე შენი ,,გომბიო''-ო, ,,ედარ ვიპივრებ თვარა არც მე მინდა შენთან ლაპარიკი!

ᲙᲔᲘᲜᲐ: რატომ არ გინდა? დევიჯერო შენი საკადრისი სიტყვა-პასუხი აღარ ვიცი? შეიძლება შენი ,,ნესტარ დარიჯანის'' მუსაიფობა ჯობია ჩემსას?

ᲛᲝᲚᲯᲐᲛᲐᲖ.: იმე, შე დალოცვილო ქვე რავა არ ჯობია, ის სულ ,,შენ ზენაცვალეო'' ასე მეუბნება და შენ კი ქოქოლას ნაყარა მომიკალი გული, აღარ ვარ მეტი!

ᲙᲔᲘᲜᲐ: ,,ჯერ სადა ხარ! რაც თქვენ სიმწარე მაჩვინეთ სულ მახსობს და თუ ერთი ათათ ვერ გადავიხადე, შერცხვეს ჩემი ქალობა!

მოჯამაგ. დოუწვავი არევინ დააყენეთ და დოუნჭირავი და სხვა რაღა უნდა ქნათ, ტყავი აღარ ვარგა ჩვენი და ხორცი?!!

კნეინა: ის მე ვიცი რაცხა ვარგა და რაცხა არა!

მოჯამაგ.: ერთი დრო კაცს არ შერჩენია ქალბატონო! ასე უნობენ არ დეივიწყებს ი საქმე თავსო და იქნება ჩვენც გვეშველოს რამე!

კნეინა: არ მოგასწროს ღვთის შობელმა დედამ მისი მობრუნება რაც ჩვენ უბედურობა გევიარეთ!

მოჯამაგ.: ოღონ ჩემ შვილს მეესწროს და ,,სიქიმან'', ჩემ საქმეს არ დევეძებ!

კნეინა: არ ჩეიწყვიტე პავლიელა მაგ ენა? სწორეთ აღარ შემიძლია მეტი, ან შენ დაგაყენოს ჩემა ქმარმა ამ სახში და ან მე! (მიდის გაკაპასებული).

მოჯამაგ.: (თავისთვის) დამაყენოს თვარა გლეხები არ ამიყაროს ქალაში. ერთი ქოხი მქონდა და თავზე გადამახუხა, სხვა რაღა უნდა მიქნას?!! ველარც ქვეა წინანდულათ ზედა ფეხზე და თუ კიდევ უფრო დეიწია, მაშინ ვნახავ თქვენ სეირს.

ნაცნობი.

დაბა-სოფლები.

სად. ულუხანლუ გიგო ორდენიძემ დაანება თავი თათრების ცემას, რადგანაც იმათ გამოესარჩლა „ეშმაკის მათრახი“ და ეხლა გათამამებულმა მით, რომ მათრახს ეშმაკი ჩამოშორდა, გიგომ მიჰყო ხელი სომხების ცემას და მასთან ჟანდარმების მოვალეობასაც ასრულებს, მით რომ მესამე კლასის ბუფეტის დარბაზში ვინც არას დახარჯავს იმას არ აყენებს.

აქაური.

—

სამტრედია. აქაური სამგზავრო მატარებლის კონდუქტორები დიდათ დამწუხრებული არიან. მიზეზი მათი ასეთი დაღრეჯილობისა ის არის, რომ მათი „ყოფილი კასირი“ სერაფიონის შორის.

— აქაურ ფოსტის უფროსის წყალობით, რამდენიმე ფოსტის მოხელეს ითხოვენ. საზოგადოთ ჩვენი ფოსტის უფროსი რაღაც განსაკუთრებული ხასიათის კაცია. თუ მოხელეს რამე საქმე დაურჩა მასთან უსათუოთ ცოლი უნდა გაგზავნოს სათხოვნელათ, ისე ყველაფერზე უარს ეუბნება. ამ სამი თვის წინათ ერთმა მოხელემ სთხოვა ,,ოტპუსკი'' უფროსმა უბრძანა: ცოლი გამოგზავნე და იმან მთხოვოსო. მოხელემ გაგზავნა ცოლი, მაგრამ, საუბედუროო, თითონაც უკან გაყვა. ამის დანახვაზე უფროსი ისე გაბრაზდა, რომ ,,ოტპუსკი'' კი არა ადგილიდან კინაღამ დაითხოვა.

— რადგან ადგილობრივ სამკითხველოს რევიზია დაიწყო და სამკითხველოში ვერც ერთი ჟურნალ-გაზეთის ნომერი ვერ აღმოაჩინეს, ბ. ბიქტორმა განიზრახა საზღვარ-გარეთ გაპარვა, მაგრამ დაიჭირეს.

თქვენი ,,კრუშევანი''

ფოთი. (გოგიბერიძის ქარხანა)

ეშმაკო, ყველა გემდურის
და ყველა შენი მტერია,
რა კი „სამსონის“ მაგივრათ
„სიმონი“ დაგიწერია.

სიმონი არის მუშაკი,
„სამსონი“ მუშის მტერია,
სიმონს აქვს შავი ულვაში
სამსონს კი თეთრი წვერია.

არ შეგცდეს ისე გადაკარ
მათრახის კუდი მწველია,
გადაკარ შეუბრალებლათ
ზურგზედ ადინე მტვერია.

შ. მეთვალყურე.

წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესათ გთხოვთ, ამ მცირე წერილს ალაგი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „მათრახში“ და მით საშვალება მოგვცეთ თავი ვიმართლოთ უსაფუძვლო ბრალდებისაგან. ამას წინეთ გაზეთ ,,ეშმაკის მათრახის'' № 42-ში წერილი იყო მოთავსებული ბაკურიანიდან ვინმე „მავნე კუზასი“, რომელიც უსაფუძვლო ცილის-წამებით ცდილობს სახელი გაგვიტეხოს და ლაფში ამოსვაროს სრულიად უდანაშაულო ადამიანები. რადგან ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს ვეკამათოთ „მავნე კუზას“ და მისთანა „კორესპონდენტებს“ ჩვენ სიმართლის აღსადგენათ მივმართავთ თქვენს რედაქციას შემდეგი შეკითხვით მიმართოთ ბ-ნ „მავნე კუზას“: 1) როდის იყო, რომ ჩვენი ამხანაგი მუშათაგანი ერთ და იმავე დროს რკინის გზის „რემონტშიც“ ირიცხებოდა და ამავე დროს ძროხებსაც უმწყესავდა გზის ოსტატს და უფროს მუშას, და თუ იცის ასეთი რამ, ვთხოვთ, ინიციალებით მაინც გვაცნობოს მისი სახელი და გვარი. 2) როდის იყო რომ ჩვენ მუშებს ზემო ხსენებულ უფროსების ძროხის მწყესისთვის დაგვეთხოვოს ვინმე ჩვენი ამხანაგი მუშა, და 3) სად ან როდის იყო, რომ ჩვენ „რემონტის“ მუშებს სასჯელის სახით (როგორც კორესპონდენტი გვაუწყებს) ,,მთელი ხუთი ვერსის მანძილზე, აღმართში ამოგვეთრიოს'' უფროსი მუშა თავის დამქაშებით *) და როცა ყველა ამეებზე სათანადო პასუხს მოგვცემს ბ-ნი ,,მავნე კუზა'', მხოლოთ მაშინ იქნება მისგან წამოყენებული ფაქტები სიმართლეზე აგებული, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვექნება ბ-ნ ,,მავნე კუზას'' უდანაშაულო ადამიანთა უსაფუძვლოთ ლაფში ამოსვრისათვის შესაფერი სახელი ვუწოდოთ და მისგან წამოყენებული ,,ფაქტები'' უმსგავსო ჭორიკანობათ ჩავსთვალოთ.

ბაკურიანში მომუშავე 5 ნაწილის ,,რემონტის'' მუშების მინდობილებით მუშა არჩილ გუგბერიძე და პეტრე მიქაბერიძე.

*) ვთხოვთ აგვიხსნას ბ-ნმა კორესპონდენტმა ვის გულისხმობს უფროს მუშის დამქაშებათ, მით საშვალება მოგვცეს ფაქტს ნათელი მოვფინოთ.

ოსმალეთში.

სულთანს წარუდგა ვეზირ-ხანი
და მოახსენა:
დიდო ხონთქარო, სჩანს ალლახმა
გაგვწირა ჩვენა!
კრიტი წაიღო საბერძნეთის
კომპანიამა...
ჰერცოგოვინა და ბოსნია
კი ავსტრიამა!!..



(შუბლი შეეკრა აბდულ გამიდს,
სჩანს არ იამა!)

ვეზირი. თავი დაგვიკრა ბოლგარიამ
და გაგვეცალა,
ალბანიაში აჯანყებამ
ფრთები გაშალა...

(წარბი შეკრული, აბდულ გამიდს
მყის გაეშალა,
თვალში გაუკრთა გმირს ხანების
სასტიკი ძალა).

ვეზირი. მაკედონიაც ემზადება
და აჯანყება,
დღეს თუ ხვალ იქაც იგრიალებს
და გაჩაღდება.



სულთანი. ეს ყველა კარგი, მაგრამ მითხარ
ჩვენ რაღა გვრჩება?!

აგენტების საყურადღებოთ.

მე-4 ნომრიდან „**მათრახის**“ ანგარიში პირდაპირ რედაქციას უნდა გამოეგზავნოს.

შემდეგ, მე-6 ნომერს ის აგენტი ვერ მიიღებს, რომელიც ზალოგსა და მეოთხე ნომრის ანგარიშს არ გამოგზავნის მომავალ ხუთშაბათამდე.

„მათრახი“-ს № 5 იგზავნება პროვინციაში შემდეგ აგენტებთან.

1) ქუთაისში—ი. კვიცარიძესთან	300	ცალი.
2) სამტრედიაში—ყ. კოპალეიშვილთან	300	„
3) ბათუმში—ს. ფირცხალაიშვილთან	200	„
4) ოზურგეთში—ვ. ღლონტთან	150	„
5) ფოთში—ი, კოხრეიძესთან	150	„
6) შორაპანში—კ. პერტახიასთან	70	„
7) ჭიათურაში „	70	„
8) ჩოხატაურში—ნ. მეგრელიშვილთან	70	„
9) ლანჩხუთში—ლ. წულაძესთან	70	„
10) მიხაილოვში—ა. ებანოიძესთან	50	„
11) გორში— ბ-ნ არჩვაძესთან	40	„
12) რიონში—ი. კვ-ცარიძესთან	20	„
13) სუფსაში— ბ. ჯანტურიასთან	10	„
14) თელავში—ბ-ნ ონიკაშვილთან	10	„
	1510	ცალი*)

*) ამდენივე გაიგზავნა მე-4 № თითოეულ აგენტთან.

ვთხოვთ პატივცემულ აგენტებს, გამოგზავნონ ცნობა რამდენი ცალი გაზეთი მივაწოდოთ. შემდეგი ნომრიდან რედაქცია 20% მიიღებს თითოეულ დარჩენილ ნომრიდან.

რედაქტორ-გამომც. თ. ე. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამბ. „შრომა“ თფილისი.